ამოქმედდა თვშესაფრის სამსახურის პლატფორმა „მეორადი განცხადების რეგისტრაციის ვიზიტის დაჯავშნა“

დღეიდან, ორშაბათიდან (22/08), ამოქმედდა პლატფორმა „მეორადი განცხადების რეგისტრაციის ვიზიტის დაჯავშნა“ თავშესაფრის იმ მაძიებელთათვის, რომელთა თავდაპირველი მოთხოვნა საბოლოოდ არ დაკმაყოფილდა. კონკრეტულად, პლატფორმა განკუთვნილია მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის (ПТХ), რომლებმაც პირველადი განცხადების განხილვის შედეგად მიიღეს საბოლოო უარყოფითი გადაწყვეტილება და აქვთ სურვილი ხელახლა შეიტანონ განაცხადი საერთაშორისო დაცვის სტატუსის მისაღებად ჩვენს ქვეყანაში.

პლატფორმა შემუშავებულია და ხელმისაწვდომია ინგლისურ, არაბულ, სპარსულ, კურმანჯი, დარი, პუშტუ, ალბანურ, თურქულ, ურდუ, ქართულ ენებზე და შესაძლებელია გაფართოვდეს უფრო მეტ ენაზე მომავალში, საჭიროების შემთხვევაში.

პლატფორმაზე შესვლა შეგიძლიათ შემდეგი ბმულის მეშვეობით: https://apps.migration.gov.gr/international-protection-registration

რეგისტრაციის გრაფიკის დაცვის და მომსახურეობის მარტივად მიღების ხელშეწყობის მიზნით, გთხოვთ მობრძანდეთ დაგეგმილი რეგისტრაციის დაწყებამდე მინიმუმ 30 წუთით ადრე და თან იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი.

ზემოაღნიშნული პლატფორმის ამოქმედებით, რეგისტრაციის დაჯავშნის აპლიკაცია skype წყვეტს ფუნქციონირებას.

ბოლოს, გვსურს შეგახსენოთ, რომ ყველა დაინტერესებულ პირს, ვისაც დღემდე არ მიუმართავს თავშესაფრის სამსახურის ოფისებისთვის საერთაშორისო დაცვის სტატუსის მოთხოვნის განცხადებით, შეუძლია ამ პროცედურის გავლა შემდეგ ლოკაციებზე რეგისტრაციის საშუალებით: მალაკასას ლტოლვილთა ბანაკი და დიავატას ლტოლვილთა ბანაკი. ამისათვის დაიცავით თანმიმდევრობა პლატფორმაზე „პირველადი განცხადების რეგისტრაციის ვიზიტის დაჯავშნა“, რომელზეც შეგიძლიათ შესვლა ზემოთ მითითებული ბმულის მეშვეობით (https://apps.migration.gov.gr/international-protection-registration).